საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№523 2020 წლის 12 მარტი ქ. თბილისი

„სიღნაღის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის №18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „სიღნაღის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის №18 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი

№	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება (ლარი)
1	სოფელ ანაგაში მთავარანგელოზის ხევზე წყალსადენი ქსელების რეაბილიტაცია	19 000

2	სოფელ ქვემო ბოდბეში ე. წ. მანგოანების უბნის ჭაბურღილის რეაბილიტაცია	37 002
3	გედიქის ხევზე სოფელ ტიბაანის სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია	60 490
4	სოფელ ვაქირში ხუთმილა წყალთან სანიაღვრე არხის მოწყობა-რეაბილიტაცია	31 369
	სულ:	147 861.“.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი გახარია